საქართველოს მთავრობის

დადგენილება №434

2019 წლის 4 სექტემბერი

ქ. თბილისი

„არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №567 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის №567 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 26/12/2016, 240110000.10.003.019634) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „არაცხოველური წარმოშობის სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის სასაზღვრო კონტროლის წესის“ (დანართი №1):

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესში გამოყენებული ტერმინები, რომლებიც არ არის განმარტებული ამ მუხლის პირველი პუნქტით, გამოიყენება იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობაც მათ აქვთ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსსა და საქართველოს საბაჟო კოდექსში.“.

2. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესის შესაბამისად, სასაზღვრო კონტროლს დაქვემდებარებული სურსათის/ცხოველის საკვების თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში (იმპორტი) მოქცევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ამ წესით გათვალისწინებული შემოწმების შედეგები დამაკმაყოფილებელია და წარდგენილია სათანადო წესით შევსებული და დამოწმებული „საერთო შესვლის დოკუმენტი“.“.

3. მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ტვირთის დაშლის/დანაწილების შემთხვევაში, მის ყოველ ნაწილს თავისუფალ მიმოქცევაში გაშვების პროცედურაში (იმპორტი) მოქცევამდე თან უნდა ახლდეს „საერთო შესვლის დოკუმენტის“ დამოწმებული ასლი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 სექტემბრიდან.

პირველი ვიცე-პრემიერი **გიორგი გახარია**